ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-30230126**
თარიღი: **12/01/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

1. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები

ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: დადგენილებაში დაფინანსების წყაროდ მითითებულია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი. იმისათვის რომ დადგენილება გავრცელდეს 2023 წელს წარმოშობილ ურთიერთობებზე, ხდება აღნიშნული ჩანაწერის რედაქტირება. გარდა ამისა დონორი ორგანიზაციის მოთხოვნით ზუსტდება ბენეფიციართა წრე, დაფინანსების ზედა ზღვართან ერთად ფიქსირდება ქვედა ზღვარი და ასევე განისაზღვრება, რომ მუნიციპალიტეტის მერია გამარჯვებული პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის აღჭურვილობის შესყიდვითა და გადაცემის გზით. გათვალისწინებულია ასევე ბენეფიციარის თანამონაწილეობის შესაძლებლობა როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ფორმით.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

როგორც მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია პროგრამის დაფინანსებისათვის 100 000 ლარი. ხოლო დამატებით 100 000 ლარის მიღება გრანტის სახით დაგეგმილია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ).

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. საკითხის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ამავე სამსახურის უფროსის, შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“–ს 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2022 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული, პასუხისმგებელი პირი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი), ტელ: 599266130.

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება N
ქ. ლანჩხუთი
იანვარი 2023 წელი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში (სსმ, ვებ გვერდი 05.07.2022, სარ. კოდი 010250050.35.112.016497), კერძოდ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) განხორციელების წესი წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამის, ორგ. კოდი 02 11) განხორციელების ძირითად საფუძველს და მარეგულირებელ აქტს.“

ბ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წლის ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 02 11) და პარტნიორი ორგანიზაციიდან მოზიდული სახსრები, რომელიც უნდა შეადგენდეს პროგრამის საერთო ბიუჯეტის არანაკლებ 50%-ს.“

დ) მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუქნტი:

„4. ბენეფიციარი უფლებამოსილია განახორციელეოს პროექტის თანადაფინანსებაში მონაწილეობა მის საკუთრებაში არსებული ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივებით პროექტის საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.“

ე) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-17 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. პროექტების დაფინანსების წესი

2. მიმდინარე წლის პროგრამის ფარგლებში ერთი ბენეფიციარისთვის შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ ერთი პროექტი და დაფინანსების მოცულობა შეადგენს არანაკლებ 5000 და არაუმეტეს 15 000 ლარს.

6. მუნიციპალიტეტის მერია გამარჯვებული პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის აღჭურვილობის შესყიდვითა და გადაცემის გზით.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**